ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ42.422214512**

თარიღი:**25/05/2022**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით, წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევის შესახებ

2022 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ჩამოსული სტუმრებისათვის კვებითი უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გამოიყოს თანხა 1110.90 (ერთიათასასათი ლარი და 90 თეთრი) ლარის ოდენობით.

,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N 2/25 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის 29-ე მუხლის შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხარჯებიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თანხის გამოყოფა ხორციელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან წინასწარი შეთანხმებით.

ამასთან, 2022 წლის 25 მაისის, N 05-4222145149 მოხსენებითი ბარათით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური თანახმაა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან, 1110.90 (ერთიათასასათი ლარი და 90 თეთრი) ოდენობით, ჩამოსული სტუმრებისათვის კვებითი უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გამოიყოს 1110.90 (ერთიათასასათი ლარი და 90 თეთრი) ლარი, ჩამოსული სტუმრებისათვის კვებითი უზრუნველყოფის მიზნით.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილებამ აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავითი კვიციანი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი